

შპს „სვიიტსტარი“-ს 31 დეკემბრით დასრულებული 2021 წლის ფინანსური
ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობა

	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღი	შენიშვნა
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	158 353	75 597	17 046	3.1.
სავაჭრო მოთხოვნები	50 625	76 813	97 601	3.2.
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	39 780	9 591	139 585	3.3.
მარაგები	352 342	566 164	401 323	3.4.
- შპს პროდუქცია	34 343	30 074	35 542	3.4.
- სხვა	317 999	536 090	365 781	3.4.
საინვესტიციო ქონება				
სხვა მიმდინარე აქტივები	166	37 614	10 712	3.5.
ბიოლოგიური აქტივები	-	-	-	
- თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები	2 369	2 707	3046	3.7.
ძირითადი საშუალებები	1 101 186	1 023 832	1 034 985	3.6.
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	1 704 821	1 792 318	1 704 298	
ვალდებულებები				
ფინანსური იჯარის ვალდებულება				
სავაჭრო ვალდებულებები	18 979	14 931	21 769	3.8.
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ				
საგადასახადო ვალდებულებები	26 611	6 105	26 538	3.09.
გამოუმუშავებელი შემოსავალი				
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	245 923	236 540	171 998	3.10.
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	660 331	955 196	683 192	3.11.
მიღებული გრანტები				
სხვა ვალდებულებები	20	20	20	3.12.
სულ ვალდებულებები	951 864	1 212 792	903 517	
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი')	67 000	25 000	25 000	3.13
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	685 957	554 526	775 781	3.13.
გადაფასების რეზერვი				
სხვა რეზერვები				
სულ საკუთარი კაპიტალი	752 957	579 526	800 781	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1 704 821	1 792 318	1 704 298	

შპს „სვითსტარის“ დირექტორი

ანზორ სულიაური

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები

	საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდი	შენიშვნა
ნეტო ამონაგები	1 856 338	1 598 413	3.14.
საქონლის გაყიდვიდან			
მომსახურების გაწევიდან			
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
სხვა	1 856 338	1 598 413	3.14.
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(1 326 251)	(1 180 100)	3.14.
საწყისი მარაგები			
მარაგების შესყიდვა			
გადამუშავების დანახარჯები			
საბოლოო მარაგები			
საერთო მოგება	530 087	418 313	
სხვა შემოსავალი			
დასაქმებულთა ანაზღაურება	(217 312)	(225 415)	3.17.
ცვეთა და ამორტიზაცია	(16 822)	(18 646)	3.17.
საპროცენტო შემოსავალი:			
საპროცენტო ხარჯი :	(84 116)	(76 650)	3.18.
ოჯარის ხარჯი	(80 339)	(76 688)	3.17.
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(66 156)	(69 690)	3.17.
სულ საოპერაციო ხარჯები	(464 745)	(467 089)	
საოპერაციო მოგება	65 342	(48 776)	
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:			
ფინანსური აქტივები			
მარაგები			
სხვა არაფინანსური აქტივები			
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	54 093	(116 888)	3.15., 3.18.
მიღებული დივიდენდები			
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	21 270	18 029	3.15., 3.18.
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებ	140 705	(147 635)	
მოგების გადასახადი			
მოგება/(ზარალი)	140 705	(147 635)	
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	140 705	(147 635)	
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	579 526	800 781	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)	42 000		3.13
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	(5 263)	(73 685)	3.13.
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	(4 011)	65	3.10, 3.13.
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	752 957	579 526	3.13.

2021 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „სვითსტარი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია 2005 წლის 11 აპრილს გლდან-ნაძალადევის სასამართლოს მიერ, რეგისტრაციის ნომერი 1/4-595. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 200132640, იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისის ნაძალადევის რაიონი, დ. გურამიშვილის გამზ. #17. კომპანია დარეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად 2006 წლის 1 ივნისს.

1.2. კომპანიის 50%-იანი წილის მფლობელია ანზორ სულიაური (პ.ნ. 01001019709), 40%-იანი წილის მფლობელი თინათინ ლირვალიძე (პ.ნ. 01018005257) და 10% წილის მფლობელი თეიმურაზ კურცხალია (პ.ნ. 01017011597)

1.3. კომპანიის დირექტორია ანზორ სულიაური (პ.ნ. 01001019709).

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა ორცხობილებისა და მშრალი ნამცხვრების წარმოება; ხანგრძლივი შენახვის ცომეული საკონდიტრო ნაწარმის და ნამცხვრების წარმოება.

1.5. კომპანიას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.6. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2021 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება შემცირებადი ნაშთის მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

მანქანა-დანადგარები - 20%;

ელექტროძრავები და დიზელგენერატორები - 20%;

კომპიუტერული ტექნიკა - 25%;

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 20%;

ინვენტარი - 10%;

სპეციალური ინსტრუმენტები - 20%;

სატრანსპორტო საშუალებები - 20%;

სხვა ავტოტრანსპორტი - 20%;

სხვა ძირითადი საშუალებები - 20%;

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა - 15%;

1000 ლარამდე ღირებულების ძირითადი საშუალებები - 50%.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის შემცირებადი ნაშთის მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.7. გადასახადები

კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

2021 წელს საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.0976 ლარი;

1 EUR=3.5040 ლარი.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.2766 ლარი;

1 EUR=4.0233 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
ნაღდი ფული სალაროში	4800	14711	9788
ლარი საბანკო ანგარიშებზე	108365	4911	6622
აშშ დოლარები საბანკო ანგარიშებზე	45085	55850	537
ევროები საბანკო ანგარიშებზე	103	125	100
სულ:	158353	75597	17046

3.2. სავაჭრო მოთხოვნები:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
სავაჭრო მოთხოვნები საქონლის გაყიდვიდან (რეზიდენტი დებიტორები)	64321	90509	111297
საექვო მოთხოვნების კორექტირება	-13696	-13696	-13696
სულ:	50625	76813	97601

2021 წლის ბოლოსათვის, კომპანიის საექვო ვალებში, რომელიც 2018 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენდა 13696 ლარი, ცვლილება არ მომხდარა. ეს თანხა შედგება 3 რეზიდენტი იურიდიული და 2 ფიზიკური პირები დავალიანებებისაგან. დანარჩენი დებიტორები შეადგენენ 165 ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

3.3. გადახდილი ავანსები:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
რეზიდენტ მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	28	201	814
არარეზიდენტ მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	34117	9390	138771
სულ:	34145	9591	139585

3.4. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
გასაყიდი საქონელი	6083	6083	8296
ნედლეული და მასალები	310811	529784	357182
მზა პროდუქცია	34344	30074	35542
საწვავ-საცხები მასალები	1062	61	260
სხვა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	42	162	43
სულ:	352342	566164	401323

სხვა მატერიალური ფასეულობები შედგება ავტომატების სათადარიგო სარემონტო მასალებისაგან.

3.5. სხვა მიმდინარე აქტივები:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
წინასწარ ანაზღაურებული მომოსახურებები	39614		520
წინსწრებით გადახდილი გადასახადი	166	37614	10192
სულ:	39780	37614	10712

3.6. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
მიწა ქ.თბილისი გლდანი ავშნიანი საკ.კოდი 72.13.42.321 (501.8 კვმ)	35126.00	35126.00	35126.00
მიწის ნაკვეთი (ქ.თბილისი მონადირის ქ. №28, არასასოფლო-სამეურნეო, (ს/კ 72.13.42.390)	36877.00	36877.00	36877.00
მიწის ნაკვეთი (ქ.თბილისი მონადირის 2 შესახვევი 78,	45722.00	45722.00	45722.00
მიწის ნაკვეთი (ქ.თბილისი მონადირის ქუჩა №28 ,	32788.00	32788.00	32788.00
მიწის ნაკვეთი (ქ.თბილისი „გლდანი ავშნიანი არასასოფლო-სამეურნეო, (ს/კ 72.13.42.318) 111.3 კვ.მ)	31219.00		
მიწის ნაკვეთი (ქ.თბილისი „გლდანი ავშნიანი არასასოფლო-სამეურნეო, (ს/კ 72.13.42.608) 210 კვ.მ)	58920.00		
მიწა ქ.თბილისი გლდანი ავშნიანი საკ.კოდი 72.13.42.322 (583 კვმ)	40810.00	40810.00	40810.00
მიწა ქ.თბილისი გლდანი ავშნიანი საკ.კოდი 72.13.42.325 (934.2 კვმ)	65394.00	65394.00	65394.00
მიწა ქ.თბილისი გლდანი ავშნიანი საკ.კოდი 72.13.42.324 (978.9 კვმ)	97890.00	97890.00	97890.00
მიწა ქ.თბილისი გლდანი ავშნიანი საკ.კოდი 72.13.42.317 (702.9 კვმ)	70290.00	70290.00	70290.00
მიწის ნაკვეთი (ავშნიანი 9, არასასოფლო-სამეურნეო ს/კ 72.13.42.388) (497 კვმ)	67100.00	67100.00	67100.00
მიწის ნაკვეთი (ავშნიანი 9, არასასოფლო-სამეურნეო ს/კ 72.13.42.326) (438.8 კვმ)	59240.00	59240.00	59240.00
მიწის ნაკვეთი (ბარისახოს ქ. №118, არასასოფლო- სამეურნეო, ს/კ 01.11.01.017.162) (3584 კვმ)	224267	224267	224267
სულ:	865643	775504	775504

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეო ბით	2020 წელი ზრდა ან შემცირება	2020 წელი დარიცხუ ლი ცვეთა	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეო ბით	2019 წელი ზრდა ან შემცირება	2019 წელი დარიცხუ ლი ცვეთა	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეო ბით
დაუმთავრებელი მშენებლობა	160240			160240			160240
სულ:	160240			160240	0	0	160240

დაუმთავრებელი მშენებლობა წარმოადგენს საწარმო-საოფისე შენობის მშენებლობაზე გაწეულ ხარჯებს. საანგარიშო 2021 წელს მშენებლობა შეჩერებული იყო.

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეო ბით	2021 წელი ზრდა ან შემცირება	2021 წელი დარიცხუ ლი ცვეთა	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეო ბით	2020 წელი ზრდა ან შემცირება	2020 წელი დარიცხუ ლი ცვეთა	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეო ბით
მანქანა-დანადგარები	28443	1671	-6736	33508		-8377	41885
ელექტროძრავები და დიზელ- გენერატორები	1290		-323	1613		-403	2016
კომპიუტ. ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	303		-100	403		-135	538
ავტო	1380		-154	1534		-170	1704
ინვენტარი	11271	674	-1230	11827	2210	-1089	10706
სპეციალური ინსტრუმენტები	246		-62	308	-27	-79	414
სატრანსპორტო საშუალებები	12327		-3082	15409		-3852	19261
სხვა ამორტიზებადი ძირითადი საშუალებები	795		-198	993		-248	1241
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	9658	1206	-3539	11991	4825	-2788	9954
1000 ლარამდე ღირებულების მს	9591	148	-1059	10502	146	-1166	11522
სულ:	75304	3699	-16483	88088	7154	-18307	99241

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2021 წლის ბოლოს - 216695 ლარს;

2020 წლის ბოლოს - 203150 ლარს.

3.7. არამატერიალური აქტივები:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეო ბით	2021 წელი ზრდა ან შემცირება	2021 წელი დარიცხუ ლი ამორტიზა ცია	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეო ბით	2020 წელი ზრდა ან შემცირება	2020 წელი დარიცხუ ლი ამორტიზა ცია	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეო ბით
პროგრამული უზრუნველყოფა	2369		-338	2707		-339	3046
სულ:	2369			2707	0	-339	3046

არამატერიალური აქტივების ერთიანი დაგროვილი ამორტიზაციის თანხა შეადგენდა:

2021 წლის ბოლოს - 2997 ლარი;

2020 წლის ბოლოს - 2659 ლარი.

3.8. სავაჭრო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
დავალიანება რეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	18979	14931	19508
დავალიანება არარეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ			2261
სულ:	18979	14931	21769

31.12.2021 წ. მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა კრედიტორული დავალიანება 10 რეზიდენტი მიმწოდებლის წინაშე.

3.9. საგადასახადო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
მიმდინარე საგადასახადო დავალიანება	26611	6105	26538
სულ:	26611	6105	26538

საგადასახადო დავალიანება წარმოშობილია 2021 წლის დეკემბრის თვეში, რომლის დეკლარირებაც მოხდა 2022 წლის იანვარში.

3.10. მიმდინარე სასესხო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები			
ბაზისბანკი სესხი №166816/001			
ბაზისბანკი სესხი №166816/004	84893	82825	70498
ბაზისბანკი სესხი №166816/005			101500
ბაზისბანკი სესხი №166816/006	157790	153715	
სულ:	242683	236540	171998

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
მიმდინარე გადასახდელი პროცენტები			
ბაზისბანკი სესხი №166816/004	2885	3380	
ბაზისბანკი სესხი №166816/006	355	607	
სულ:	3240	3987	0

გასული წლის საპროცენტო ხარჯები დაკორექტირებული იქნა 3987 ლარით.

ყველა მიმდინარე სასესხო ვალდებულებები გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებების მიმდინარე ნაწილია.

3.11. გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები:

გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
ბაზისბანკი სესხი №166816/004	533383	654004	641089
ბაზისბანკი სესხი № 166816/005			42103
ბაზისბანკი სესხი №166816/006	126948	301192	
სულ:	660331	955196	683192

„ბაზისბანკიდან“ აღებული ყველა სესხი არის აშშ დოლარებში. 2021 წლის ბოლოს გადასახდელი სესხის გამოხატულება აშშ დოლარებში შეადგენს 213 175.17 USD-ს.

3.12. სხვა ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
მიღებული ავანსები	20	20	20
სულ:	20	20	20

3.13. საკუთარი კაპიტალი:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
წესდებით დადგენილი კაპიტალი	67000	25000	25000
გაუნაწილებელი მოგება	685957	554526	775781
სულ:	752957	579526	800781

2021 წელს მოხდა 2017 წლამდე დაგროვილი მოგებიდან მხოლოდ 5263 ლარის განაწილება დივიდენდებად, ამიტომ ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, რაც გულისხმობს 2017 წლამდე დაგროვილი მოგების განაწილებისას უკვე გადახდილი მოგების გადასახადის ჩათვლის უფლებას, კომპანიის 2021 წლის მოგება არ შემცირებულა მოგების გადასახადით.

2021 წელს დაკორექტირდა 2020 წლის საპროცენტო ხარჯი 3987 ლარით და საკურსო სხვაობა 24 ლარით, ამიტომ 2021 წელს დაგროვილმა მოგებამ შეადგინა 689 968 ლარის ნაცვლად 685 957 ლარი. 2021 წელს დამფუძნებლებმა კაპიტალში დამატებით შეიტანეს 42 000 ლარი. საწარმოს კაპიტალი საანგარიშო პერიოდის ბოლოს შეადგენს 752 957 ლარს.

3.14. ნეტო ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2021 წელს კომპანიის ნეტო-ამონაგები მთლიანად შედგებოდა წარმოებული პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებიდან. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება დათვლილია საშუალო შეწონილი ფასების მეთოდის გამოყენებით.

	2021 წელი	2020 წელი
პროდუქციის რეალიზაცია	1856338	1598413
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-1326251	-1180100
სულ:	530087	418313

3.15. არასაოპერაციო შემოსავლები:

	2021 წელი	2020 წელი
დადებითი საკურსო სხვაობები	58860	2717
ვალის პატივით მიღებული შემოსავალი		3838
არასაოპერაციო მოგება მს რეალიზაციიდან	2308	227
მსოფლიო პანდემიასთან დაკავშირებული არასაოპერაციო შემოსავალი საშემოსავლო გადასახადში	8998	13996
სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ზარალის ანაზღაურებიდან მიღებული შემოსავალი	9375	
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	1659	970
სულ:	81200	20778

3.16. საწარმოო და მიწოდების ხარჯები:

	2021 წელი	2020 წელი
საწარმოს ინვენტარის ხარჯები	-23	-911
სხვა საწარმოო ხარჯები (თანამშრომლების დაზღვევა უბედურ შემთხვევაზე, სამუშაო უნიფორმა, დასუფთავების მოსაკრებელი)	-404	-1565
საწარმოო სარემონტო ხარჯები	-34	
რეკლამის ხარჯები	-51	-50
სხვა მიწოდების ხარჯები	-959	
სულ:	-1471	-2526

3.17. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები:

	2021 წელი	2020 წელი
ხელფასი და მასთან გათანაბრებული სარგებელი	-214854	-222702
საპენსიო ფონდში გადასახადები	-2458	-2734
იჯარის ხარჯები	-80339	-76688
ქონების გადასახადის და სხვა საგადასახადო ხარჯები	-4589	-4709
მიმდინარე სარემონტო ხარჯები	-2964	-2071
საწვავის ხარჯები	-8312	-6673
ცვეთა და ამორტიზაცია	-16822	-18646
საკომუნიკაციო ხარჯები	-2972	-2967
კომუნალური ხარჯები	-28219	-26913
საბანკო ხარჯები	-2558	-5172
საკონსულტაციო ხარჯები	-9000	-9000
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-6107	-9638
სულ:	-379194	-387913

3.18. არასაოპერაციო ხარჯები:

	2021 წელი	2020 წელი
არასაოპერაციო ზარალი ძს რეალიზაციიდან	-30	
საპროცენტო დანახარჯები	-84116	-76650
უარყოფითი საკუროსო სხვაობები	-4768	-119604
საგადასახადო ჯარიმები და საურავები	-1	-1000
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	-1002	-3
სულ:	-89917	-197257

სხვა არასაოპერაციო ხარჯები შედგება დეკლარაციებში დარიცხული გადასახადების დამრგვალებებისგან.

3.19. საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი:

2021 წელს კომპანიას არ ჰქონდა მოგების გადასახადის ხარჯი.

3.20. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 9 სექტემბერს.